



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 16
 28/03/2019

16-07-4-201903281728

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №16
 2019 წლის 28 მარტი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, განისაზღვროს ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ყოფილი სასტუმროს შენობის ორი ფართი), რომლის მახასიათებლები მოცემულია დანართის სახით და ასევე შემდეგ უძრავ ქონებებზე:

1. ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, მდებარე 564 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.006), საბაზრო ღირებულება - 41500 ლარი), 16 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქონების საბაზრო ღირებულების 100%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 1177.28 ლარს.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოჩხათში მდებარე 923.66 კვ.მ. ადმინისტრაციული შენობის ((ს/კ 27.13.43.001), საბაზრო ღირებულება - 113686 ლარი) პირველი სართულის:

ა) N2 ფართობის - 27.26 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 335 ლარს.

ბ) N3 ფართობის - 32,09 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 394 ლარს.

გ) N7 ფართობის - 22.72 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 279 ლარს.

დ) N11 ფართობის - 12.54 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 154 ლარს.

ე) N12 ფართობის - 33,95 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 417 ლარს.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ სუფსაში მდებარე 356,90 კვ.მ. ადმინისტრაციული შენობის ((ს/კ 27.15.52.294), საბაზრო ღირებულება - 51188 ლარი) პირველ სართულის:

ა) N1 ფართობის - 25,7 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 369 ლარს.

ბ) N2 ფართობის - 14,8 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 212 ლარს.

გ) N6 ფართობის - 28,3 კვ.მ.-ზე, ქონების ფართობის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 406 ლარს.

4. ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 33 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, ((ს/კ 27.06.56.017), საბაზრო ღირებულება - 1300 ლარი) 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქონების საბაზრო ღირებულების 600%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 237 ლარს.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

1	2	3	4	5	6
ადმინისტრაციული ერთეული (მდებარეობა)	ს/კოდი	შენობა- ნაგებობის I სართულის საერთო ფართი (კვ.მ)	უძრავი ქონების დასახელება	შენობა- ნაგებობის I სართულის ღირებულება (ლარი)	შენობა- ნაგებობის 1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)
ქ.ლანჩხუთი	27.06.51.005	514.8	ყოფილი სასტუმროს შენობა	128700	250

7	8	9	10	11	12
შენობა-ნაგებობაში არსებული გასაქირავებელი ფართის ნუმერაცია შენობის შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად	ფართის სიდიდე (კვ.მ)	შენობა- ნაგებობის 1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	ფართის საწყისი საფასური (ლარი)	ფართის საწყისი საფასურიდან გასაანგარიშებელ ი კოეფიციენტის რაოდენობა (%)	ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა (ლარი)
N19 (ს/კ 27.06.51.005/01.522)	16.1	250	4025	10	402.5
N20 (ს/კ 27.06.51.005/01.523)	15.5	250	3875	10	387.5
%			100		

მ. ცა.